მოპასუხე: ნანა კვაჭაძე, შპს „გაზეთ ბათუმელების“ ჟურნალისტი, batumelebi.ge-ს მმართველი რედაქტორი

თარიღი: 02/06/2022

_____

გავეცანი მოქალაქე არჩილ კაპანაძის განცხადებას, რომლითაც მან მიმართა საქართველოს ჟურნალისტური ეთიკის ქარტიას.

არჩილ კაპანაძე ამბობს, რომ მე დავარღვიე ჟურნალისტური ეთიკის ქარტიის პირველი, მე-4, მე-5 და მე-7 პრინციპი, რასაც არ ვეთანხმები.

საუბარია batumelebi.ge-ზე გამოქვეყნებულ, ჩემს მიერ მომზადებულ მასალაზე - „უკრაინის დროშის გამო აგრესიის სამიზნე გავხდით – რუსულ-უკრაინული ოჯახი ბათუმში“ [იხილეთ ლინკი: **https://batumelebi.netgazeti.ge/news/411569/**].

- **პირველი პრინციპი** - არჩილ კაპანაძის განცხადებით, ჩემ მიერ მომზადებული მასალით დაირღვა ქარტიის პირველი პრინციპი *[ჟურნალისტმა პატივი უნდა სცეს სიმართლეს და საზოგადოების უფლებას – მიიღოს ზუსტი ინფორმაცია].*

არჩილ კაპანაძე საჩივრის თანახმად, აღნიშნულ სტატიაში წერია, **„რომ რუსეთის მოქალაქეები ვართ *[განმცხადებელი გულისხმობს საკუთარ თავსა და მის მეუღლეს]* და წარმოდგენილი მასალა საერთოდ არ შეესაბამება სინამდვილეს, მიმდინარეობს გამოძიება და არის მოწმეებიც“.**

ჩემ მიერ მომზადებულ მასალაში, არც სათაურში და არც ტექსტში არ წერია, რომ ამბის მონაწილეები არიან რუსეთის მოქალაქეები. მეტიც, გარკვევით არის აღნიშნული, რომ რესპონდენტმა, რომელსაც ვესაუბრე, არ იცის, რომელი ქვეყნის მოქალაქეები არიან პირები, რომლებიც, მისივე თქმით, მას დაუპირისპირდნენ.

ციტატა მასალიდან: *„ალექსანდრე ამბობს, რომ კაცმა მას ხელიც დაარტყა. მან არ იცის, რომელი ქვეყნის მოქალაქეები არიან ისინი, თუმცა, მისი ინფორმაციით, წყვილი რუსეთიდან არის ჩამოსული“.*

იმის შესახებ, რომ ამ კონფლიქტს სამართალდამცავი უწყებაც იძიებს, აღნიშნულია სტატიაშიც.

რესპონდენტი „ბათუმელებს“ დაუკავშირდა მას შემდეგ, რაც batumelebi.ge-ზე გამოქვეყნდა ინფორმაცია იმის შესახებ, რომ **ბათუმში რუსეთის მოქალაქეებმა ოფისში უკრაინის დროშა ჩამოხიეს და თანამშრომელს დაარტყეს**. მან გვითხრა, რომ მასაც ჰქონდა უკრაინის სამკერდე დროშის გამო მოქალაქის მხრიდან აგრესიის გამოცდილება, რის გამოც პოლიციასაც მიმართა. ასევე, მისივე თქმით, დაპირისპირება გაგრძელდა შემდეგ დღეებშიც და ამ ინციდენტის შემდეგ აღნიშნული პირებიდან ერთ-ერთმა მას კიდევ მიაყენა შეურაცხყოფა ქუჩაში, რის გამოც მეორედ მიმართა პოლიციას.

„ბათუმელებმა“ ეს ინფორმაცია გადაამოწმა შს სამინისტროში, სადაც დაგვიდასტურეს, რომ ამ საკითხზე მიმდინარეობდა გამოძიება სისხლის სამართლის მუხლით.

მასალის მომზადებისას შევეცადე დამედგინა მეორე მხარის [როგორც შემდგომში გაირკვა, არჩილ კაპანაძის] ვინაობა, მაგრამ რესპონდენტმა, რომელიც თავს დაზარალებულად მიიჩნევს, მითხრა, რომ პირადად არ იცნობდა მას და არ ჰქონდა მისი საკონტაქტო ინფორმაცია, შს სამინისტრო კი კონკრეტული პირის შესახებ ინფორმაციას არ გასცემს.

მასალა მომზადებულია 3 წყაროზე - აღნიშნული ინციდენტის მონაწილე პირის მონათხრობზე, შს სამინისტროს მიერ მოწოდებულ ინფორმაციასა და საჯარო სივრცეში გადაღებულ, მოკლე ვიდეოჩანაწერზე დაყრდნობით, რომელიც ასახავს მოქალაქის აგრესიას სხვა მოქალაქეების მიმართ.

ერთმანეთისგან ცხადადაა გამიჯნულია ჟურნალისტის ტექსტი და რესპონდენტის ციტატები და მოსაზრებები.

მასალაში, ჟურნალისტის ტექსტში, მტკიცებით ფორმაში არსად წერია, რომ აღნიშნული პირი [არჩილ კაპანაძე] დადასტურებით არის მოძალადე და ეს არის დადგენილი. ასევე, როგორც ზემოთ აღვნიშნე, მასალაში წერია, რომ მიმდინარეობს გამოძიება.

შესაბამისად, მივიჩნევ, რომ აღნიშნული მასალით ჟურნალისტური ქარტიის პირველი პრინციპი არ დამირღვევია.

- **მეოთხე პრინციპი** – არჩილ კაპანაძის განცხადებით, ჩემ მიერ მომზადებული მასალა არღვევს ქარტიის მეოთხე პრინციპს – *[ინფორმაციის, ფოტოების ან დოკუმენტების მოპოვებისას ჟურნალისტმა მხოლოდ კეთილსინდისიერი და სამართლიანი მეთოდები უნდა გამოიყენოს].*

ვიდეოჩანაწერი, რომლის „სქრინებიც“ გამოყენებულია ჩემ მიერ მომზადებული სტატიის ფოტომასალად, გადაღებულია საჯარო სივრცეში, ბათუმის ცენტრალურ პარკში, იმ რესპონდენტის მიერ, რომელსაც მე ვესაუბრე.

მასალა არ არის მოპოვებული არაკეთილსინდისიერი, უსამართლო გზით ან პირადი სივრცის დარღვევის შედეგად. ვიდეომასალა გადაღებული საჯარო სივრცეში, იგი გადმომცა თავად რესპონდენტმა, ჩანაწერის შესწავლის შედეგად იოლად ირკვევა, რომ აღნიშნულმა პირმა [არჩილ კაპანაძემ] იცოდა, რომ მას უღებდნენ, გარდა ამისა ვიდეომასალა რესპონდენტმა გადასცა პოლიციასაც, როგორც მის ხელთ არსებული მტკიცებულება.

არჩილ კაპანაძის ქარტიისადმი მიმართულ განცხადებაში აღნიშნულია, რომ მე, როგორც ჟურნალისტს, არ მქონდა მისი და მისი მეუღლის ფოტოების [სქრინი ვიდეოდან] გამოქვეყნების უფლება მათთან შეთანხმების გარეშე.

არ მივიჩნევ, რომ საჯარო სივრცეში გადაღებული, აგრესიის/დაპირისპირების/კონფლიქტის ამსახველი ფოტო/ვიდეო მასალის გამოქვეყნებისას ჟურნალისტი ვალდებულია შეუთანხმდეს ყველა მხარეს. ასეთ შემთხვევაში ჟურნალისტი ვერ გააშუქებს ძალიან ბევრ მნიშვნელოვან თემას, მათ შორის – აქციებს, სადაც ხშირად ხდება დაპირისპირება, სასამართლო პროცესებს და ა.შ.

- **მეხუთე პრინციპი** - არჩილ კაპანაძე აცხადებს, რომ ჩემ მიერ მომზადებული მასალით დავარღვიე ქარტიის მეხუთე პრინციპი *[მედია ვალდებულია, შეასწოროს გამოქვეყნებული არსებითად არაზუსტი ინფორმაცია, რომელსაც შეცდომაში შეჰყავს საზოგადოება],* რაც, ასევე, არასწორია.

აღნიშნული მასალა batumelebi.ge-ზე გამოქვეყნდა 20 მაისს, გვიან საღამოს. იმ დროისათვის მე არ ვიცოდი არჩილ კაპანაძის ვინაობა და ჩემთვის უცნობი იყო მისი საკონტაქტო ინფორმაციაც.

მას შემდეგ, რაც გავარკვიე მისი ვინაობა და მობილური ტელეფონის ნომერი, 21 მაისს, დილითვე, მას დავუკავშირდი და შევთავაზე კომენტარი გაეკეთებინა აღნიშნულ თემაზე.

მან არ ისურვა საუბარი, ჰქონდა შენიშვნა ფოტოსთან დაკავშირებით, კერძოდ, მკითხა, რა უფლებით გამოვაქვეყნე მისი ფოტო, დაინტერესდა გამოცემის რედაქტორის ვინაობით, ხოლო მას შემდეგ, რაც ვუთხარი, რომ მე თავად ვიყავი batumelebi.ge-ის ერთ-ერთი რედაქტორი, მითხრა, რომ მისთვის გასაგები იყო ყველაფერი, არ სურდა ჩემთან საუბარი და ტელეფონი გათიშა.

მე მზად ვიყავი მას მოეთხრო მომხდარი ამბის საკუთარი ვერსია, დამესვა კითხვები და მიღებული კომენტარის მიხედვით სტატია განმეახლებინა, ან ცალკე სტატია მომემზადებინა, თუმცა ამის საშუალება არ მომეცა.

შესაბამისად, ჩემთვის გაუგებარია, რა ცვლილება უნდა შემეტანა მასალაში, როცა რესპონდენტმა თავად არ ისურვა საუბარი.

- **მეშვიდე პრინციპი** – არჩილ კაპანაძე განცხადებაში წერს, რომ დავარღვიე ეთიკის ქარტიის მეშვიდე პრინციპიც *[ჟურნალისტს უნდა ესმოდეს მედიის მიერ დისკრიმინაციის წახალისების საფრთხე; ამიტომ ყველაფერი უნდა იღონოს ნებისმიერი პირის დისკრიმინაციის თავიდან ასაცილებლად რასის, სქესის, სექსუალური ორიენტაციის, ენის, რელიგიის, პოლიტიკური და სხვა შეხედულებების, ეროვნული ან სოციალური წარმოშობის საფუძველზე ან რაიმე სხვა ნიშნით].*

განცხადებაში ზუსტად არ არის მოცემული ამ ბრალდების საფუძველი, მაგრამ არჩილ კაპანაძე, სავარაუდოდ, თვლის, რომ მოხდა დისკრიმინაცია ეროვნული ნიშნით.

მიმაჩნია, რომ აღნიშნული ბრალდება სრულიად უსაფუძვლოა.

ჩემ მიერ მომზადებული მასალა არ ახალისებს დისკრიმინაციას ეროვნული ნიშნით, უფრო მეტიც – სათაურში და მასალაშიც გარკვევით წერია, რომ ამბის მონაწილე პირი, რომელიც თავს დაზარალებულად მიიჩნევს, რუსია, ამბავი ეხება რუს–უკრაინელ წყვილს, რომლებიც ბათუმში ცხოვრობენ.

მასალა არ შეიცავს არც ერთ დისკრიმინაციულ გამონათქვამს ან მოსაზრებას რუსი ერის და რუსეთის მოქალაქეების მიმართ. შესაბამისად, ვფიქრობ, რომ არჩილ კაპანაძის ეს მოსაზრება მცდარია.